თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს სხდომის

ო ქ მ ი № 3

ქ. თელავი 18 ნოემბერი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები''-ს
თავმჯდომარე - **გიორგი ჩაბრაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიგა მამუკელაშვილი,**
ფრაქციის წევრი: **გოჩა წაწალაშვილი ;**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავი მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ;

მომხს. გ. ჩაბრაშვილი

მოისმინეს: 1. თელავი მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურის მიმართულებით წინა წლებთან შედარებით ნაკლები თანხებია გათვალისწინებული და საჭიროა ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდა. არა ფინანსური აქტივების კლებიდან იგეგმება 750000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის შემოსვლა ბიუჯეტში. ამ მუხლში შესაძლებელია შემოსავლები უფრო მეტი დაიგეგმოს და შესაბამისად წლის განმავლობაში გეგმა შესრულდეს, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ინფრასტრუქტურის დაფინანსება.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტში „დიემო ვიზიტ კახეთი" ბიუჯეტიდან 80000 (ოთხმოცი ათასი) ლარით ფინანსდება. ქვეყანაში არსებული პანდემიის ფონზე მთელი წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტში როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ვიზიტორების შემოსვლა საგრძნობლად შემცირდა და სავარაუდოდ 2021

წლის განმავლობაშიც ასე გაგრძელდება. ამიტომ საჭიროა მივიღოთ ინფორმაცია იმის თაობაზე რამდენად არსებობს საჭიროება რომ „დიემო ვიზიტ კახეთი“ 80000 (ოთხმოცი ათასი) ლარით დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ. წაწალაშვილმა აღნიშნა, რომ ისე როგორც მთელს ქვეყანაში ასევე თელავის მუნიციპალიტეტში პანდემიის გამო მოსახლეობა კიდევ უფრო რთულ სოციალურ პირობებში აღმოჩნდა და საჭიროა სოციალური მიმართულებით მუნიციპალიტეტის დაფინანსება გაიზარდოს მოსახლეობის დახმარების მიზნით.

გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ გასარკვევია თუ რა იგულისხმება წითელი ჯვრის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებში და რაში უნდა დაიხარჯოს ამ მუხლში გაწერილი 44500 (ორმოცდაოთხი ათას ხუთასი) ლარი.

გიორგი ჩაბრაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა ის შეკითხვა რომელიც დაისვა ფრაქციის სხდომაზე, გაჟღერებულ იქნეს საკრებულოს ფრაქციის, შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე პასუხების მიღების მიზნით;

გადაწყვიტეს: ფრაქციის სხდომაზე გამოთქმული შეკითხვებსა და მოსაზრებებზე ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხების მიღების შემთხვევაში „ფრაქცია ქართული ოცნება - მწვანეები“ საკრებულოს სხდომაზე მხარს დაუჭერს თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების პროექტს.

ფრაქციის თავმჯდომარე: გ. ჩაბრაშვილი